სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის

დავით ჯანიკაშვილის ანგარიში 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ამომრჩევლებო!

ერთი წელი გავიდა , რაც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მოთხოვნის შესაბამისად ანგარიშით წარვდექი თქვენს წინაშე და დღეს კიდევ გაბარებთ ერთი წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. როგორც იცით, მაჟორიტარი დეპტატების შეხვედრები სოფლებში უკვე დასრულდა . მათი მუშაობა ამომრჩევლებმა დადებითად შეაფასეს და დღეს თქვენს წინაშე ანგარიშით ვართ საკრებულოში პარტიის „ ქართული ოცნება“ პროპორციული სიით შესული დეპუტეტები.

იყო ხალხის წარმომადგენელი, მიმაჩნია უდიდესი ნდობა და პასუხისმგებლობაა.

თითოეული ჩვენთაგანი ვგრძნობთ ამ პასუხისმგებლობას და ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენდამი გამოხატული ნდობის შესანარჩუნებლად .

მოგესხსენებათ, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბერს , ამ პერიოდიდან არჩეული ვარ საკრებულოს თავმჯდომარედ. ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

ვცდილობთ, საკრებულოში გადაწყვეტილებები მივიღოთ მოსახლეობის ჩართულობითა და ინტერესების გათვალისწინებით. შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოთ საზოგადოების ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებით (ინფორმაცია მუდმივად ქვეყნდება, როგორც მუნიციპალიეტის ვებგვერდზე, ასევე საკრებულოს სოციალურ გვერდზე).

დღევანდელი საკრებულო წარმოდგენილია 36 წევრით, მათგან 12 მაჟორიტარია, 10 ოპოზიციური პარტიებიდან არჩეული , დანარჩენი 1 4 კი– პარტიის „ ქართული ოცნება“ სიით შესული. 36 წევრიდან ქალია 9, რომელთაგან 4– საკრებულოს თანამდებობის პირია.

საკრებულოში შექმნილია 5 მუდმივმოქმედი კომისია და 2 ფრაქცია .

საკრებულოს სხდომები კანონმდებლობის შესაბამისად ტარდება თვეში ერთხელ მაინც, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 17 საკრებულოს სხდომა, 24 საკრებულოს ბიურო. სხდომებზე განიხილება როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული , ასევე მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე რიგგარეშე საკითხები. საკრებულოს მიერ მიღებულია სულ 181 სამართლებრივი აქტი, მათ შორის :

67 ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - განკარგულება, 23 ნორმატიული აქტი- დადგენილება, გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება-91.

ამ პერიოდში კომისიების მიერ ჩატარებული სხდომების სტატისტიკა ასეთია:

იურიდიული კომისია - 7 სხდომა (განხილული საკითხების რაოდენობა -11) , ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია-10 სხდომა (განხილული საკითხების რაოდენობა -20), კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია - 8 სხდომა (განხილული საკითხების რაოდენობა -12), საფინანსო - საბიუჯეტო კომისია -12 სხდომა (განხილული საკითხების

რაოდენობა -18), საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის 10 სხდომა (განხილული საკითხების რაოდენობა - 22).

სიღნაღის მუნიციპალიტეტში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის უფლებამოსილებაა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერება. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით. ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიის ფარგლებში 2023 წლის 25 ნოემბრიდან გენდერული თანასწორობის საბჭომ მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან გამართა არაერთი შეხვედრა. შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფენომენის გაცნობა, სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი როლი, პოლიტიკის განსაზღვრაა. 2023 წლის 20 დეკემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024-2027) და მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტს და განსაზღვრავს სიღნაღის მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებებს მომავალი 4 წლის განმავლობაში.

საკრებულოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი , რაც საკრებულომ მიიღო, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტია. დამტკიცებული ბიუჯეტის წლიური მოცულობა 27 მლნ 493 ათას 600 ლარია, რაც 9 მლნ 893 ათას 600 ლარით მეტია 2023 წლის , ხოლო 13 მლნ 673 ათას 600 ლარით მეტი 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობასთან. 2024 წლის 15 ოქტომბრის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა 53 მლნ 821 ათას 300 ლარია.

ბიუჯეტის გადასახდელების 7 % ხელფასია, ინფრასტრუქტურული სამუშაოები 60%, 3,0 % სოციალური პროგრამები და ჯანმრთელობის დაფინანსება, 0.04% წარმომადგენლობითი ხარჯები, 16,8 % მოდის ა(ა)ი.პ –ების სუბსიდიაზე.

საკრებულო, მისი კომისია ყოველ კვარტალურად ისმენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს . 2024 წლის წლიური შესრულების მოსმენა კი 2025 წელს გაიმართება.

2024 წლის 20 მაისიდან სიღნაღის მუნიციპალიტეტში შიდა მუნიციპალური ტრანსპორტი ამოქმედდა. ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M2 და M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ" სიღნაღის მუნციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით მგზავრობის საფასური განისაზღვრა 1 ლარით, ასევე დადგინდა მოსახლეობის კატეგორიები, რომლებზეც შეღავათიანი, 0,50 თეთრიანი ტარიფი ამოქმედდა, ხოლო სკოლის მოსწავლეებისათვის მგზავრობა უფასოა.

საკრებულოში მუშაობისას მუდმივად მაქვს ინდივიდუალური შეხვედრები მოქალაქეებთან. მათ ნებისმიერ დროს შუძლიათ მოსვლა საკრებულოში და არ არიან შეზღუდული მიღების საათებით. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მოვიარე ყველა ადმინისტრაციული ერთეული, პირადად მივიღე მონაწილეობა მაჟორიტარი დეპუტატების ანგარიშების წარდგენის შეხვედრებში , მათგან მოვისმინე არსებული პრობლემები. იგი ძირითადად ეხება სოციალურ საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი

წყლის სისტემის მოწყობას, სავარგულებში სადრენაჟე სარწყავი არხების დამონტაჟებას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარე განათების მოწყობას.

მოგეხსენებათ, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი სიღნაღის მუნიციპალიტეტში დასასრულს უახლოვდება. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები, საქლორატორო და რეზერვუარები მოეწყო. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა, ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

2024 წლის 9 თვის საანგარიშო პერიოდში სიღნაღის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაფინანსებებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა ან მიმდინარეობს **19 522 388** ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტები.

ქ. სიღნაღი - ქ. სიღნაღში ფიროსმანის ქუჩის ს/ გზის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ღირებულება 521347 ლარი (პროექტი დასრულებულია);

ქალაქ სიღნაღში ევდოშვილის II შესახვევის, კვერნაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის, ერეკლე II-ს II ჩიხის, რუსთაველის ჩიხისა და „ორმილა“-ს წყაროსთან მისასვლელი გზების სარებილიტაციო სამუშაოები 289 603 ლარი;

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე არსებული #12, #14, #16, #18, #19, #21 და #23 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობის სამუშაოები 263479 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

ქ. სიღნაღში აბრამიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 090 632 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

ქ. სიღნაღის ციხე-გალავანზე არსებული ტურისტული ბილიკის ბურჯების რეაბილიტაციის სამუშაოები 49 994 ლარი(პროექტი დასრულებულია);

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ეკა ბეჟანიშვილის სახელობის ქუჩის ფერდსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები 410 899 ლარი (პროექტი დასრულებულია);

ქ. სიღნაღში ერეკლე მეორის ქუჩის შესახვევში და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები 19 621 ლარი (პროექტი დასრულებულია);

ქალაქ სიღნაღში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 43 306 ლარი (პროექტი დასრულებულია);

ქალაქ სიღნაღში ქეთევან წამებულის ქუჩაზე საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 95 970 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღში, სკოლისა და 112-ის შენობებს შორის სკვერის და ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები 324 116 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. სიღნაღში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებაა 31 346 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. სიღნაღში სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებები : დადიანის N23 ში --- - 31 064 ლარი და ერეკლე მეორის N 50 ში ----- 603 025 ლარი (პროექტი მიმდინარეა) ;

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაა 87 609 ლარი (მიმდინარეა);

ქ. წნორი - ალაზნის ქუჩის ს/გზის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ღირებულებით 655 170 ლარი (პროექტი მიმდინარეა) ;

ქ. წნორში, უნივერსიტეტის ქუჩაზე #74, #76, #78, #80 და #82 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულება 968987 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

ქ. წნორში, ვაჟა მოსულიშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით 539 999 (პროექტი მიმდინარეა);

ქ. წნორში, ინაშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 882 968 (პროექტი მიმდინარეა);

ქ. წნორში, სიხაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები 27 112 ლარი (პროექტი დასრულებულია);

ქ. წნორში, მერის წარმომადგენლის შენობის სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები 15 985 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

ქ. წნორში, თავისუფლების ქ. #11-ში მდებარე, ყოფილი დაცვის პოლიციის შენობის მეორე სართულის (საოფისე ფართის მოსაწყობად) სარეაბილიტაციო სამუშაოები 187 080 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

ქ. წნორში გარე განათების მოწყობა 51 299 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

ქ. წნორში მესამე საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა 452 010 ლარი (პროექტი მიმდინარეა) .

სოფ . ანაგა- სოფ. ანაგაში, ჰამლეტ გონაშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 662 564 ლარი (პროექტი მიმდინარე);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ანაგაში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა სახელშეკრულებო შირებულება 155 329 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაგაში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 39665 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ანაგაში სტიქიის შედეგად დაზიანებული 3 სახლის გადახურვის სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო თანხაა 32 453.84 ლარი .

სოფ . ვაქირი- ე. წ. „გოგაანების“ უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1 967 690 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაქირში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 52 587 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაქირში სტიქიის შედეგად დაზიანებული 1 სახლის გადახურვის სამუშაოები რომლის სახელშეკრულებო თანხაა 15 795 ლარი .

სოფ . მაშნაარი- სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. მაშნაარში ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის სამშენებლო სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებაა 144 900 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 40 667ლარი (პროექტი მიმდინარეა.)

სოფ . საქობო - ზოია რუხაძის საავტომობილო გზის სარებილიტაციო სამუშაოები რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 1 822 738 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. საქობოში, ბესიკის ქუჩის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები , რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც შეადგენს 237 214 ლარს (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ.საქობოში გარე განათების მოწყობის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით 56 109 ლარი (პროექტი მიმდინარეა).

სოფ. ბოდბისხევი - ე.წ „მანიჟას“ უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით 2 367 829 ლარი(პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოდბისხევში გარე განათების მოწყობის სამუშაოები რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 48 219 (პროექტი მიმდინარეა) .

სოფ .ჯუგაანი - საბავშვო ბაღის გზის რეაბილიტაცია , რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 376 442 ლარი (პროექტი დასრულებულია) .

სოფ. ჯუგაანში დუქნებიდან საბავშვო ბაღამდე ს/გზის გასწვრივ სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 319 438 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ.ჯუგაანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით 53 652 ლარი (პროექტი მიმდინარეა).

სოფ .ტიბაანი- პრასიანის უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 2 810 003 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ტიბაანში გარე განათების მოწყობის სამუშაოები , რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 47 099 ლარი (პროექტი მიმდინარეა) ;

სოფ .მაჩხაანი- მაჩხაანში სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 226 339 ლარია (პროექტი დასრულებულია);

სოფ. ქვ. მაჩხაანში სასაფლაოს შემოღობვა 132 000 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. ხირსაში -სასაფლაოს შემოღობვა 47 738 ლარი (პროექტი მიმდინარეა).

სოფ .ძვ.ანაგა- სოფელ ძველი ანაგა-ტიბაანის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები სახელშეკრულებო ღირებულებით 2 280 821 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. ძვ. ანაგაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა სახელშეკრულებო ღირებულებით 371 664 (პროექტი დასრულებულია).

სოფ . ნუკრიანი - სოფელ ნუკრიანის N17 საბავშვო ბაღის ეზოში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები 19 299 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სოფ. ნუკრიანში გარე განათების მოწყობა სახელშეკრულებო ღირებულებით 38 657 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ნუკრიანში ე.წ. "ტოღნოღაანები"-ს უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 937 774 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. ნუკრიანის #17 საბავშო ბაღის ფილიალის ეზოს კეთილმოწყობა 58 808 ლარი (პროექტი დასრულებულია).

სოფ . ბოდბე – ქვემო ბოდბეში ე.წ. პოლიკაანთ" უბნის ს/გზის რეაბილიტაცია 520 612 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სოფელ ქვემო ბოდბეში ე.წ „რიყის“ და „ოთარაანთ“ უბნის საავტომობილო გზების სარებილიტაციო სამუშაოები 1729611 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სოფ. ქვემო ბოდბის საბავშვო ბაღის №24 ფილიალის ეზოს საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები 122 221 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. ბოდბეში სასაფლაოს შემოღობვა 26 315 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. ქვ. ბოდბეში სასაფლაოს შემოღობვა 38 569 ლარი (პროექტი მიმდინარეა).

სოფ . ილიაწმინდა – ე.წ. "პაკრიშკებისა" და "დიდი წყლის" უბნების ს/გზების რეაბილიტაცია 1 558 000 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სოფ. ილიაწმინდაში სკვერის მოწყობის სამუშაოები 47 738 ლარი (პროექტი მიმდინარეა).

სოფ . მაღარო – სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფელ ქვემო მაღაროში ე.წ „რკინიგზის“ და „სკოლის“ უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარებილიტაციო სამუშაოები 143908.92 ლარი (პროექტი დასრულებულია);

სოფ. ქვემო მაღაროში გოდერძიშვილების ქუჩის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 309 997 ლარი (პროექტი მიმდინარეა);

სოფ. ქვემო მაღაროში „რკინიგზის“ უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 608 994 (პროექტი მიმდინარეა);

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. მაღაროში გარე განათების მოწყობის სამუშაოები 29 340 ლარი (პროექტი მიმდინარეა).

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის, მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა , რომლის წინაშეც დგას ჩვენი მუნიციპალიტეტი. ეს იქნება ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკითხები თუ აუცილებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აქტიურად ვმონაწილეობ მათი განხილვისა და გადაჭრის გზების მოძიებაში. ადგილობრივი თვითმმართველობისათვის მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას და ,,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი გაცემის წესის“ შესაბამისად ვუწევთ დახმარებას.

საკრებულომ, მერის ინიაციატივით შეიტანა ცვლილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში, რითაც კიდევ უფრო მოწესრიგდა სოციალურად დაუცველთა დახმარება . სოციალური დახმარების პროგრამას დაემატა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების, ერთ წლამდე

ასაკის ბავშვისთვის ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამები.

2024 წლის განმავლობაში ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური პაკეტით ისარგებლა 2358 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 732 790 ლარი:

- სამედიცინო მომსახურების დაფინანსება -(624 ბენეფიციარი)-270 000 ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (467 ბენეფიციარი) – 95582 ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (85 ბენეფიციარი) – 25500 ლარი;
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება (991 ბენეფიციარი) – 189 525 ლარი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვა (15 ბენეფიციარი) – 3000 ლარი;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა (56 ბენეფიციარი) 9850 ლარი;
- მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (26 ბენეფიციარი) – 5150 ლარი;
- ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება (2 ბენეფიციარი) 700 ლარი;
- ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან სტუდენტების დაფინანსება (11 სტუდენტი)-10157.50ლარი
- სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსება (8 სტუდენტი)-7655.50 ლარი.

სულ 19 სტუდენტი - 17813ლ

- ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის დახმარება (18ოჯახი)-30915 ლარი;
- დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება (5 ოჯახი)-12650 ლარი;
- დიალეზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებზე ყოველთვიურად გასაცემმა თანხამ შეადგინა (35 ბენეფიციარი) – 28 800 ლარი;
- 100 წლის უხუცესთა სოციალური დახმარება- 600 ლარი (2 მოქალაქე);
- **დედის დღესთან დაკავშირებით,** მრავალშვილიან დედებისთვის (96 დედა) –19 200ლარი;
- სამახსოვრო საჩუქრები-30 მარტოხელა მშობელსა და 61 მარჩენალდაკარგულ ოჯახს - 5478ლარი;
- უსახლკაროთა ბინის ქირით უზრუნველყოფა (13 ოჯახი)— 12600ლარი

√ **უფასო სასადილოს** დაფინანსება გაიზარდა 27000 ლარით. სერვისით სარგებლობს 220 ბენეფიციარი და მომსახურების ბიუჯეტია **314 070** ლარი. ქ. სიღნაღში--115 ბენეფიციარი, ქ. წნორში -105.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებაა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირება და კონტროლი. მ/ წელს მოვისმინეთ და შევაფასეთ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის - მალხაზ ბეგიაშვილის ანგარიში, 3 სტრუქტურული ერთეულის ხელმღვანელის ანგარიში და მერიის მიერ დაფუძნებული 6 ა(ა) ი.პ–ის ხელმძღვანელის ანგარიში.

მერიასთან ერთობლივი მუშაობით მოვახდინეთ მუნიციპალიტეტის სოფლების: ქვემო მაჩხაანის, ილიაწმინდის, საქობოს, მაშნაარის, ხირსის, ხორნაბუჯის, ყარაღაჯისა და ერისიმედის

გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩები) არაბული რიცხვებით ნუმერაცია. ამჟამად, მიმდინარეობს ამ სოფლების ქუჩების სახელდების პროცედურები.

საკრებულოს თითოეული წევრი, მე როგორც საკრებულოს თავმჯდომარე , კოლეგიალურად ვთანამშრომლობთ მუნიციპალიტეტის მერთან, მალხაზ ბეგიაშვილთან , მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან. ჩვენ ერთი გუნდი ვართ და ვფიქრობთ, ერთობლივი მუშაობით დაიძლევა მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი პრობლემები.

ბოლოს, ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო საკრებულოს აპარატს , რომელიც საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ –ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნითაა შექმნილი და ორი სტრუქტურული დანაყოფით არის წარმოდგენილი. აპარატი მოიცავს 12 საშტატო ერთეულსა და 5 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს. 2024 წლის პირველი ივნისიდან საკრებულოს ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს საკრებულოში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკრებულოს თანამშრომელთა ინფორმირებულობას, მეთოდურ დახმარებას და მონიტორინგს. მუდმივად ხდება აპარატის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, რაც გამოხატება სხვადასხვა ტრენინგებსა და გადამზადების პროგრამებში აქტიური მონაწილეობით. ეს კი დადებითად აისახება საკრებულოს გამართულ ფუნქციონირებაზე.

ჩემი გამოსვლის დასასრულს მინდა გითხრათ , რომ გასაკეთებელი ძალიან ბევრია, პრობლემაც არა ერთი, რომელსაც თქვენი მონაწილეობით და ჩვენი გუნდური მუშაობით დავძლევთ.

დავით ჯანიკაშვილი